T.S Eliot's Early Poetry and John Donne's "Metaphysical" Poetics

ტომას ელიოტის ადრეული ლექსები და ჯონ დონის „მეტაფიზიკური“ პოეტიკა

Liliana Gogichaishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
(Georgia)

ლილიანა გოგიჩაიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
(საქართველო)

Abstract:

The works of the "metaphysical" poet John Donne can be freely considered as one of the biggest influences of twentieth century English poetry. It was because of the modernist writers that Donne came to be popular again in the modern world. Modernist poets saw their own ideas and aspirations in Donne's raging, controversial, highly intellectual poetry, a possibility of which they gained from the poetics of "metaphysical" verse itself.

In terms of "getting back" to the "metaphysics", 20th century literature greatly owes to T.S Eliot. In his critical theories and poetic practice Eliot not only analyses Donne's poetry, but he also regenerates "metaphysical" poetics in his own works. Thanks to T.S Eliot this knowledge was later shared with all Anglo-American modernist poetry.

One of the most important artistic techniques which is so characteristic of both Donne's and Eliot's poetics is" metaphysical" wit. It tends to create such a surprising effect, that is achieved by comparison and drawing of totally different ideas and images together. In order to express wit "Metaphysicians" use conceit – a complex, widespread metaphor that can express both intellect and fantasy at the same time. One of the most famous examples of a conceit in Donne's poetry is found in his late poem called "Hymn to God, my God, in my Sickness". Here the author identifies himself with a map, whereas he calls the doctors cosmographers. The same artistic effect is noticed in Eliot's famous poem "The Love Song of J. Alfred Prufrock". In this poem the stillness of the evening is compared to a patient "etherized

upon a table". There are lots of such imitations of Donne's poetry in Eliot's works.

These very parallels of Donne's and Eliot's lyrics are discussed in my thesis, where I try to demonstrate how the influence of the 17thcentury poetry worked on Eliot's early poems.

Keywords: John Donne, Thomas Eliot, Metaphysical Wit, Metaphysical Conceit

საკვანძო სიტყვები: ჯონ დონი, ტომას ელიოტი, მეტაფიზიკური მახვილგონიერება, მეტაფიზიკური კონსიტი

მეოცე საუკუნის ინგლისურენოვანი პოეზიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გავლენად თამამად შეიძლება ჯონ დონი მოვიაზროთ. პოეტი, რომელმაც მეჩვიდმეტე საუკუნის პოეზია განსაზღვრა, კლასიკური და რომანტიკული პოეზიის მიმდევრების მიერ, ორი საუკუნის განმავლობაში აღიქმებოდა როგორც ბუნდოვანი და გაურკვეველი ლექსების ავტორი. მიუხედავად ამისა, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მისი პოეზიისადმი გამოხატულმა ინტერესმა ნათელყო დონის უმნიშვნელოვანესი ადგილი უდიდეს ინგლისელ პოეტებს შორის. მისი ხელახალი გაპოპულარულება ვიქტორიანული რომანტიზმისგან შორს მდგომი, რეალისტური, ინტელექტუალური და თვითირონიული პოეტური მიმდინარეობის – მოდერნიზმის დამსახურება იყო. მოდერნისტმა პოეტებმა დონის ბობოქარ, შინაგანი კონფლიქტით სავსე, ღრმად ინტელექტუალურ პოეზიაში საკუთარი შეხედულებები და სურვილები ამოიკითხეს, ვინაიდან მსგავსება ორ პოეტურ მიმდინაეობას შორის, უდავოდ, დიდი იყო.

მეტაფიზიკოსებთან „მიბრუნების" თვალსაზრისით მეოცე საუკუნის ლიტერატურა ყველაზე მეტად ტომას ელიოტისგანაა დავალებული. ის იყო პირველი პოეტი და კრიტიკოსი, რომელმაც როგორც მისი მხატვრული, ისე კრიტიკული ლიტერატურის დიდი უმრავლესობა მეტაფიზიკოს პოეტებს მიუძღვნა და ეს ცოდნა სრულიად ანგლო-ამერიკული მოდერნისტული პოეზიისთვისაც გახადა ხელმისაწვდო-

მი. ელიოტს მიაჩნდა, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის პოეზიის შესწავლა მოდერნისტ ავტორებს საკუთარი თავის შეცნობაში დაეხმარებოდა; "*if the likeness exists, then it is valuable to understand the poetry of the seventeenth century, in order that we may understand that of our own time and understand ourselves*"[1] (Eliot, 1994, p. 43). ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რამაც ავტორს მეტაფიზიკური პოეზიის კვლევა გადააწყვეტინა.

ელიოტის პოეზია კრიტიკოსების მხრიდან, ჩვეულებრივ, „რთულ" პოეზიად აღიქმება. ამ სირთულის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი აზრის კომპლექსურობა და გამოხატვის სისხარტეა. მოდერნისტი ავტორის პოეზიის ინტელექტუალური სიღრმე სათავეს დონის პოეტური ტრადიციიდან იღებს. მეტაფიზიკოსი პოეტის მსგავსად, ელიოტის შემთხვევაშიც პოეზიის ამოსავალი წერტილი არა ემოციური მდგომარეობა, არამედ აზრის სირთულეა.

ელიოტის ადრეულ პოეზიაზე დონის ტრადიციის ამგვარი გავლენა შეინიშნება ლექსებზე „ჯ. ალფრედ პრუფროკის სასიყვარულო სიმღერა" და „ქალბატონის პორტრეტი". ლექსებში გამოხატული აზრის სიმძაფრე, საკუთარი თავისადმი ჩაღრმავება და თვითანალიზი მეტაფიზიკოსი პოეტის „წმინდა სონეტებს" მოგვაგონებს.

Is it perfume from a dress
That makes me so digress?
Arms that lie along a table, or wrap about a shawl.
And should I then presume?
And how should I begin?[2]

მართალია მოცემული ლექსები სტრუქტურითა და არსით განსხვავდებიან დონის შემოქმედებისგან, (განსაკუთრებით მისი გვიანდელი ლექსებისგან), თუმცა, ჩანასახობრივად, მათში უკვე შეინიშნება აზრის ისეთი სირთულე, რაც დონისეულ პოეტურ ტრადიციას ეხმიანება. ამას მოწმობს 1917 წლის ლექსების ქვე-სათაურიც – „დაკვირვებანი" ("Observations").

მეტაფიზიკოსი პოეტის გავლენა, აზრის სირთულის თვალსაზრისით, უფრო თვალსაჩინოა ელიოტის 1920 წლით დათარიღებულ

---

[1] თუკი მსგავსება არსებობს, მაშინ მნიშვნელოვანია ვიცნობდეთ მეჩვიდმეტე საუკუნის პოეზიას, ამგვარად იქნებ ჩვენს დროს და საკუთარ თავებსაც გავუგოთ.

[2] https://www.poetryfoundation.org/poetrymagazine/poems/44212/the-love-song-of-j-alfred-prufrock

ლექსზე „ჯერონტიონი“, სადაც მთავარი გმირის სულიერი და ფიზიკური დაუძლურება მთელი ევროპული ცივილიზაციის რღვევას გამოხატავს. ლექსში პაროდიის ორი მთავარი საგანი – რელიგია და ისტორიაა. *„ეს პაროდიული რეფლექსია ხან მკაფიო, ვიზუალური ხატების, ხან თეოლოგიური დებულებებისა და ხანაც ციტატების სახით წარმოგვიდგება“* (კობახიძე, 2015, გვ. 149).

ლექსი დრამატული მონოლოგის სახითაა წარმოდგენილი, მასში ნაჩვენები პოეტის პირადი ემოციები კი ობიექტირებულია პერსონაჟებსა და ლექსის ცალკეულ ეპიზოდებში და, ამდენად, „ობიექტური კორელატის“ ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. ელიოტი თავის კრიტიკულ ნაშრომებში ზუსტად აღწერს პოეტსა და პოეტურ ნაწარმოებს შორის არსებულ სწორ ურთიერთმიმართებას. ის თვლის, რომ პოეტის ხასიათის თავისებურებებმა და პიროვნულობამ რაც შეიძლება ნაკლები ასახვა უნდა ჰპოვოს თავის შემოქმედებაზე. პოეზიისთვის პოეტის პირადი ემოციები არაა მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანია ის ფართო და ზოგადი დატვირთვა რაც ამ ემოციებს შეიძლება ახლდეს თან. ამდენად, პირადი ემოციების ხელოვნებაში გამოხატვისთვის პოეტმა უნდა იპოვნოს რაღაც ობიექტური და არა პირადული, რასაც ამგვარად გარდასახული სახით წარმოაჩენს საკუთარ ნაწარმოებში. „ობიექტური კორელატის“ ასეთ ნიმუშად ლექსის შემდეგი ეპიზოდი წარმოგვიდგება:

After such knowledge, what forgiveness? Think now
History has many cunning passages, contrived corridors
And issues, deceives with whispering ambitions,
Guides us by vanities. Think now
She gives when our attention is distracted
And what she gives, gives with such supple confusions
That the giving famishes the craving. Gives too late
What's not believed in, or if still believed,
In memory only, reconsidered passion.
Gives too soon Into weak hands, what's thought can be dispensed with
Till the refusal propagates a fear. Think
Neither fear nor courage saves us. Unnatural vices
Are fathered by our heroism. Virtues
Are forced upon us by our impudent crimes.
These tears are shaken from the wrath-bearing tree.[1]

[1] https://www.poetryfoundation.org/poems/47254/gerontion

ფაქტობრივი ინფორმაციის ცოდნა რომ არა, მკითხველი, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენს, რომ რაიმე კავშირი შეიძლება არსებობდეს მოცემულ პასაჟსა და ელიოტის პირად პრობლემებს შორის. ფაქტი კი ისაა, რომ „ჯერონტიონის“ წერის პროცესში ელიოტს სერიოზული სირთულეები ჰქონდა ფსიქიურად ავადმყოფ მეუღლესთან – ვივიენ ჰეივუდთან, რაც არაპირდაპირი, ხატში განზოგადებული სახით ლექსშიც წარმოგვიდგება. მოცემულ ეპიზოდში ავტორი ისტორიას მოიხსენიებს მესამე პირის ნაცვალსახელით – she და ისტორიის შესახებ პოეტურ მსჯელობასთან ერთად, *„ვივიენ ჰეივუდის ერთგვარ ფსიქოლოგიურ პორტრეტსაც გვთავაზობს“* (კობახიძე, 2015, გვ. 156). დონის ტრადიციის გავლენა ელიოტის ადრეულ პოეზიაზე ამ თვალსაზრისითაც იპყრობს ჩვენს ყურადღებას, ვინაიდან „ობიექტური კორელატის“ მხატვრული ტექნიკა ელიოტის პოეზიასა და ამ კონკრეტულ ლექსშიც დონის გავლენითაა შეთვისებული.

გარდა აზრის სირთულისა და ავტორისგან განსხვისებისა, „ჯერონტიონი“ მკითხველისთვის აზრის გრძნობად გარდასახვის ტექნიკითაცაა საინტერესო – “direct sensuous apprehension of thought or a recreation of thinking into feeling” (Eliot, 1951, გვ. 286). მოცემულ შემთხვევაში ინტელექტუალობა არ გამორიცხავს გრძნობიერებას. როგორც დონის, ისე ელიოტის შემოქმედებაში გრძნობა და ფიქრი ერთმანეთშია არეული და ერთიანი სახითაა წარმოდგენილი. აზრისა და გრძნობის ერთიანობა დონთან, მოგვიანებით კი ელიოტთანაც, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხატვრული ხერხით, მგზნებარე ფიქრითაა გადმოცემული. მასში იგულისხმება ისეთი ჩახლართული, უხეში, ქაოტური აზრი, რაც პოეზიას არაჩვეულებრივ ძალას სძენს. მგზნებარე ფიქრის ეფექტი შეგვიძლია შევადაროთ ერთიმეორეზე დახვავებულ ემოციასა და ფიქრს, რომელთა მთლიანობა მკითხველში წამიერ, ნირვანასეუბრ, ესთეტიკურ ტკბობას იწვევს. ასეთი პოეტური ხატის განმარტებას გვთავაზობს ეზრა პაუნდი ესსეიში **“A FEW DON’TS”**; პოეტი აღნიშნავს: “An “Image” is that which presents an intellectual and emotional complex in an instant of time... It is the presentation of such a “complex” instantaneously which gives that sense of sudden liberation; that sense of freedom from time limits and space limits; that sense of sudden growth, which we experience in the presence of the greatest works of art. It is better to present one Image in a lifetime than to produce voluminous works.”[1]

---

[1]ჭეშმარიტი „ხატი ინტელექტუალურ და ემოციურ ერთობას წამებში წარმოაჩენს... ეს ისეთი „ერთიანი“ მყისიერების წარმოჩენაა, რაც უეცარი თავისუფლების განცდას განიჭებს; დროისა და სივრცის საზღვრებს მიღმა არსებული თავისუფლების განც-

როგორც პაუნდი, ისე ელიოტი მათი ეპოქის აზროვნების წინამორბედად ტომას ერნესტ ჰიუმს მიიჩნევდნენ. პროფ. კობახიძე „განსჯანის“ წინასიტყვაობაში „ტომას ერნესტ ჰიუმი, მოდერნიზმის თეორეტიკოსი“ ჰიუმის „კულტურფილოსოფიური“ ნააზრევის შესახებ აღნიშნავს: „ის, რომ ლექსის ხატოვანება აზრის „გამხატვრულების“ საშუალება კი არ არის, არამედ მხატვრული აზროვნების არსია, რომ პოეტმა კი არ უნდა „მორთოს“ ხატოვანებით სხვა მხრივ „ჩვეულებრივი“ აზრი, არამედ სწორედ ხატი არის ის, რითაც პოეტი აზროვნებს და რომ მხატვრული სახისგან განცალკევებით პოეტური აზროვნება არ არსებობს – ეს თეორიული წარმოდგენა თავის დროისათვის ნამდვილად ახალი იყო და განსხვავებული პოეტიკის დამკვიდრებას ემსახურებოდა“ (ჰიუმი, 2020, გვ. 14). ის მხატვრული რესურსი, რომელზეც ჰიუმს ჰქონდა საუბარი („ლექსის სახეები უბრალო დეკორაცია კი არ არის, არამედ არსია ენისა“) ელიოტმა „მეტაფიზიკოსი“ პოეტების შემოქმედებაში დაინახა, გაავრცო და მოარგო კიდეც საკუთარ პოეზიას.

ინტელექტისა და ემოციის ერთიანობის თვალსაჩინო ნიმუშად წარმოგვიდგება „ჯერონტიონის“ ზემოთ მოტანილი ეპიზოდი[1]. რომლის სტრუქტურა, განწყობა, მგზნებარე განსჯა, დარღვეული რიტმი და სინტაქსი, პოეტის მიუკერძოებლობა, ქადაგებისებრი ტონი დონის „წლისთავებს“ და „წმინდა სონეტებს“ მოგვაგონებს:

Think then, my soul, that death is but a groom…
Think thyself labouring now with broken breath…
Think thee laid on thy death-bed, loose and slack…
Think thyself parch'd with fever's violence...
Think that thou hear'st thy knell, and think no more…[2]

მოცემული ნაწყვეტები „მეორე წლისთავიდან“ ზუსტად ეხმიანება ელიოტის ზემოთ ნახსენებ ლექსს; ამ მსგავსებას უფრო

დას; ისეთი უეცარი ზრდის განცდას, რასაც ხელოვნების დიდებული ნიმუშების წინაშე გამოვცდით ხოლმე. აუარება ნამუშევრების ქმნას, სჯობს ცხოვრებაში ერთადერთი, ნამდვილი „ხატი“ შექმნა.
https://www.poetryfoundation.org/articles/69409/a-retrospect-and-a-few-donts?fbclid=IwAR0W03apg1 qn6nv7VImsO8sblnHRSWPGIiPB7UrlX- 3JVXFUWF2AQgCoyZA

[1] After such knowledge...tree.

[2] https://www.poetryfoundation.org/poems/44123/of-the-progress-of-the-soul-the-second-anniversary

თვალსაჩინოს ხდის დონთან არაერთხელ ნახსენები “Think”, რაც იმავე კონტექსტით ელიოტთანაც გვხვდება.

აზრის ემოციად გარდასახვასთან, აზრის განცდით ეკვივალენტთან (“passionate thinking”) მჭიდროდაა დაკავშირებული მეტაფიზიკური მახვილგონიერება, რომელიც მიზნად ისახავს ისეთი წარმოსახვითი გაოცების ეფექტის შექმნას, რაც მიიღწევა სრულიად განსხვავებული იდეებისა და ხატების შედარებითა და დაახლოებით. მეტაფიზიკური მახვილგონიერება მეტია ვიდრე, უბრალოდ, ორი განსხვავებული სურათ-ხატის „ძალდატანებითი კავშირი.“ ელიოტმა ამ ხერხში ძლიერი ინტელექტუალური და ემოციური ძალის მქონე გაოცების, კონტრასტისა და ირონიის მძლავრი ინსტრუმენტი დაინახა. ეს მხატვრული ხერხი მინიმალურ მოცულობაში მაქსიმალური რაოდენობის ემოციური და ინტელექტუალური შინაარსის ჩადების საშუალებას იძლევა. მეტაფიზიკური მახვილგონიერების მიზანი, ხშირად, მკითხველის გაოცება და მოულოდნელობის ეფექტის შექმნაა, რაც ორივე ავტორს, უდავოდ, კარგად გამოსდის.

მახვილგონიერების მთავარი ინსტრუმენტი მეტაფიზიკოსებისთვის კონსიტია – ისეთი რთული, გავრცობილი მეტაფორა, რომელიც ერთდროულად შეიძლება გამოტხატავდეს ინტელექტსაც და ფანტაზიასაც. დონის შემოქმედებიდან კონსიტის ერთ-ერთ ცნობილ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ეპიზოდი ლექსიდან “Hymn to God my God in my Sickness”, სადაც ხატის დაძაბულობის სიმძლავრე შეუთავსებელ მოვლენათა თანაკავშირზე დაფუძნებული კონსიტის მეშვეობით მიიღწევა.

Whilst my physicians by their love are grown
Cosmographers, and I their map, who lie
Flat on this bed, that by them may be shown
That this is my south-west discovery,
Per fretum febris, by these straits to die,

ლექსის მოცემულ ტაეპში ექიმების კოსმოგრაფებთან, პაციენტის რუკასთან და სიკვდილის „სამხრეთ-დასავლურ“ აღმოჩენასთან გაიგივება „მეტაფიზიკური“ ლექსის პოლიფონიურ ბუნებასა და ხატების მრავალფეროვნებაზე მეტყველებს. ელიოტს მიაჩნია, რომ ერთმანეთთან დაუკავშირებელი და ერთი შეხედვით ქაოტური ხატები ნამდვილ პოეზიაში ყოველთვის ქმნიან ახალ მთლიანობებს: “When a

poet's mind is perfectly equipped for its work, it is constantly amalgamating disparate experience; the ordinary man's experience is chaotic, irregular, fragmentary. The latter falls in love, or reads Spinoza, and these two experiences have nothing to do with each other, or with the noise of the typewriter or the smell of cooking; in the mind of the poet these experiences are always forming new wholes"[1] (Eliot, 1953, გვ. 117). ამგვარ „ახალ მთლიანობას" ქმნის დონი საკუთარი თავის რუკასთან გაიგივებით. ხოლო მხატვრული დაძაბულობის გასაღრმავებლად, ერთის მხრივ ლექსის ობიექტისგან განსხვისების, მეორეს მხრივ კი მახვილგონივრული ენაკვიმატობისა და ირონიის ხაზგასმის მიზნით, საკუთარი წოლის მანერას უწოდებს „ბრტყელს" და, ამდენად, კონსიტს კიდევ უფრო გროტესკულ იერს ანიჭებს. მხატვრული ზემოქმედების ანალოგიურ ნიმუშს წარმოადგენს ელიოტის ადრეული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუში "The Love Song of J. Alfred Prufrock", რომელშიც ავტორი საღამოს სიმშვიდეს მაგიდაზე გაწოლილ ნარკოზით დაძინებულ პაციენტს ადარებს, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ელიოტი თავის თეორიულ შეხედულებებს მეტაფიზიკოსი პოეტების შესახებ საკუთარ მხატვრულ ნაწარმოებებში პრაქტიკულად იყენებდა. "The Love Song of J. Alfred Prufrock" დონის შემოქმედებიდანაა ნასესხები და ლექსის "Hymn to God my God in my Sickness" პირდაპირ ალუზიას წარმოადგენს.

Let us go then, you and I,
When the evening is spread out against the sky
Like a patient etherized upon a table;[2]

როგორც დონის, ისე ელიოტის შემთხვევაში, აღსანიშნი და აღმნიშვნელი, რომლებიც საბოლოოდ კონსიტის სახეს იღებენ, ეს ურთიერთგამომრიცხავი ხატები, ხშირად, სრულიად არაპოეტური სფერო-

[1] როდესაც პოეტის გონება მთლიანად მის სამუშაოს მოუცავს, ის მუდამ, არსებითად ურთიერთგანსხვავებულ გამოცდილებებს უკავშირებს ერთმანეთს; ჩვეულებრივი ადამიანის გამოცდილება ქაოტური, არათანაბარი, ფრაგმენტულია. ამ უკანასკნელს ვიღაც უყვარდება, ან კითხულობს სპინოზას და ამ ორ გამოცდილებას ერთმანეთთან არანაირი საერთო აქვთ, მათ არც საბეჭდი მანქანის ხმაურსა ან სამზარეულოდან გამომავალ სუნთან აქვთ რამე საერთო; პოეტის გონებაში კი ეს გამოცდილებები ყოველთვის ახალ მთლიანობებს ქმნიან.

[2] https://www.poetryfoundation.org/poetrymagazine/poems/44212/the-love-song-of-j-alfred-prufrock

ებიდანაა მოტანილი: მედიცინა, ფიზიკა, გეოგრაფია, რელიგია, მითოლოგია ისტორია და სხვა. თუმცა, დონთან ამგვარ შედარებებს უფრო ხშირი, შეიძლება ითქვას, მუდმივი ხასიათი აქვთ, ელიოტთან კი ისინი უფრო მაგალითის სახითაა მოხმობილი. დონის შემოქმედებიდან ასეთ ნიმუშებად შეიძლება განვიხილოთ შეყვარებულთა წმინდანებთან შედარება ლექსში „კანონიზაცია“, სიყვარულის წმინდა ტაძრის მწერთან შედარება ლექსში „რწყილი“, მოსიყვარულე წყვილის კომპასთან შედარება ლექსში „გამომშვიდობება: აკრძალული დატირება“ და კიდევ არაერთი სხვა. ელიოტის პოეზიიდან კონსიტის ასეთი ნიმუში გვხვდება, მაგალითად, ლექსში “Rhapsody on a Windy Night”, სადაც ერთ-ერთი უმთავრესი კონსიტი მთვარის ჩუტყვავილიანი სახეა;

The moon has lost her memory.
A washed-out smallpox cracks her face.[1]

ანალოგიური ხასიათის კონსიტია მოცემული ამავე ლექსის იმ ეპიზოდში, სადაც ავტორი შუაღამით მოგვრილ მოგონებებს შეშლილი ადამიანის მიერ მკვდარი, დამჭკნარი ნემსიწვერას რხევას ადარებს:

Midnight shakes the memory
As a madman shakes a dead geranium.

ამ სახის შედარებები დონის ადრეული პოეზიის არაერთი ნიმუშიდან შეგვიძლია განვიხილოთ.

ელიოტის მხრიდან „მეტაფზიკური“ მახვილგონიერებისა და კონსიტის მთავარ მხატვრულ ხერხად გამოყენება, განსაკუთრებით მის ადრეულ პოეზიაში, ნათლად ასახავს დონის ტრადიციის გავლენას მოდერნისტი ავტორის შემოქმედებაზე. ამ გავლენაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით კიდევ ერთ მნიშვნელოვან მხატვრულ მეთოდს – ანალიტიკურ მეთოდს, რომელიც დონის ტრადიციის მნიშვნელოვანი ელემენტია.

პოეზიის ანალიტიკური ბუნება ორივე პოეტთან თვალსაჩინოა, თუმცა, მაშინ როცა დონი საკუთარი გამოცდილების ანალიზისას ობიექტურობის მხოლოდ გარკვეულ დონეს აღწევს, ელიოტის ლექსის ობიექტური ბუნება სრულია. მაგალითად, ლექსში „ჯ.ალფრედ პრუფროკის სასიყვარულო სიმღერა“ განკერძოებული თვითანალიზის სიღ-

[1] https://www.poetryfoundation.org/poems/44215/rhapsody-on-a-windy-night

რმისეული ბუნება სრული სახითაა წარმოდგენილი. თავად ელიოტი ლექსის შესახებ წერდა: 'It was partly a dramatic creation of a man of about 40 I should say, and partly an expression of feeling of my own through this dim imaginary figure" [1] ლექსში ასახული სიტუაციაცა და მთავარი პერსონაჟი, სრულიად, წარმოსახვითია, თუმცა, საინტერესო ისაა, რომ სავსებით ახალგაზრდა, თითქმის ოცი წლის პოეტი ახერ-ხებს შუა ხნის კაცის წმინდა ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნას; წარმოსახვითი პერსონაჟის „ტყავში ძვრება"და მის ფიქრებსა და ემო-ციებს სრულყოფილად აანალიზებს. ობიექტური ანალიზის მეთოდს ვხვდებით ლექსში „ქალბატნის პორტრეტი", თუმცა, იმ განსხვავებით, რომ ქალის პორტრეტს არა მისი მონოლოგი ქმნის, არამედ მეორე პირის, პროტაგონისტის მონათხრობი ქალის შესახებ.

ზემოთ ნახსენები თითოეული ლექსი – „ჯ. ალფრედ პრუფროკის სასიყვარულო სიმღერა", „ქალბატონის პორტრეტი", „ჯერონტიონი" ელიოტის თანამედროვეთა დეგრადირებულ ყოფას, არშემდგარ ურ-თიერთობებს, გაუფასურებულ ღირებულებებს, „დაკარგული" ადამი-ანის შინაგან მდგომარეობასა და, ზოგადად, მთელი ევროპული ცივი-ლიზაციის გაჭიანურებულ ხრწნას გამოხატავენ; თითოეულ მათგანს ქვეტექსტად მძაფრი ირონია გასდევს. საგნისადმი სარკასტული მიდ-გომის უფრო სიღრმისეული გავრცობა გვხვდება ელიოტის 1920 წლის პოემაში „უნაყოფო მიწა". ეს უკანასკნელიც, პირველ რიგში, თანამედ-როვე, დეგრადირებული ყოფის ანალიზსა და კრიტიკას წარმოადგენს, ამ ირონიული კრიტიკის მთავარი იარაღი ელიოტისთვის, მოცემულ პოემასა და შემდგომი პერიოდის ნაწარმოებებში, მითოსია – წარსუ-ლის მითოლოგიური დიდებულება თანამედროვე დეგრადირებულ ყოფასთანაა შეპირისპირებული. ელიოტისგან განსხვავებით, დონთან ანალიზის საშუალებად მითოსი არ გამოიყენება; ის რასც ელიოტი მი-თოსით აღწევს, დონთან კონსიტის გამოყენებითაა მიღწეული, თუმცა ეს, თავისთავად, არ გამორიცხავს კონსიტის მნიშვნელობას ელიოტის პოეზიაშიც. „უნაყოფო მიწის" მსგავსება დონის ტრადიციასთან რამ-დენიმე მხატვრული ნიშნით იკვეთება: ხატების სიჭარბე, მოულოდ-ნელი გაოცების ეფექტი, ირონია, სიკვდილის ბუნებითა და მაკაბრით დაინტერესება – თითოეული „მეტაფიზიკოსი" პოეტის ტრადიციას მიეწერება და მის „წლისთავებს" მოგვაგონებს. ორივე წლისთავი დო-

[1] https://www.bl.uk/20th-century-literature/articles/a-close-reading-of-the-love-song-of-j-alfred-prufrock

ნის მფარველის სერ რობერტ დრერის თოთხმეტი წლის გარდაცვლილი ქალიშვილისადმია მიძღვნილი. ელიზაბედ დრერი დონისთვის დაკარგული ღირსებისს, სიკეთისა და სათნოების სიმბოლოა. ამდენად, პირველ წლისთავში "An Anatomy of the World" დონი კაცობრიობის სულიერ სიკვდილს და ღმერთამდე ვერ მისული ადამიანის უბედურებას დასტირის. მეორე წლისთავში კი, "*Of the Progres of the Soule,"* რომელიც ძირითადად ელიზაბედ დრერისადმი აღვლენილ ხოტბას გამოხატავს, ავტორი ხელახლა მოიპოვებს კაცობრიობის მიერ დაკარგულ იმ სიბრძნეს, რაც ადამიანს, მარადიულ, სულიერ ბედნიერებას აღუთქვამს. „წლისთავები" არ გამოხატავენ ავტორის სულიერ ტანჯვას; მათში ასახული სიცარიელე და სიცოცხლის ამაოება, უფრო, დედამიწაზე არებულ ჯოჯოხეთს მოგვაგონებს. ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში მცხოვრები პოეტის ერთადერთი იმედი კი გარდაცვალებასა და სიკვდილის შემდგომ სიცოცხლეზე ფიქრია.

როგორც ვნახეთ, ჯონ დონის „მეტაფიზიკური" პოეტიკა ტომას ელიოტის ადრეულ პოეზიაში შემდეგი ნიშნებით იჩენს თავს: ა) ლექსის ინტელექტუალური სირთულე, ბ) აზრის ემოციური ეკვივალენტი, (აზრისა და ემოციის აღრევა), რაც ხშირად „მგზნებარე ფიქრითაა" გამოხატული; გ) „ობიექტური კორელატი" დ) მახვილგონიერება და მეტაფიზიკური კონსიტი. ამ ელემენტების მრავალფეროვანი გამოყენების შედეგად, თავის დროზე დონმა, მოგვიანებით კი, მათი გათვალისწინებით, ელიოტმა და სხვა მოდერნისტმა ავტორებმა მსოფლიო ლიტერატურაში ყველაზე ინტელექტუალურ და სიღრმისეულ პოეტურ მიმდინარეობებს ჩაუყარეს საფუძველი, რომელთა მსოფლიო ლიტერატურაზე გავლენა დღემდეა შენარჩუნებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

კობახიძე, თ. (2015) ტომას ელიოტი და მაღალი მოდერნიზმის ლიტერატურული ესთეტიკა. თბილისი: „უნივერსალი".

ჰიუმი, ტ. (2020) „განსჯანი". თბილისი: „ინტელექტი".

Eliot, T. S. (1951) "The Metaphysical Poets" Selected Essays, 286 London, Faber and Faber, (3rd Ed).

Eliot, T.S. (1953) Selected Prose. Harmondsworth, Middlesex.

Eliot, T.S. (1994) The Varieties of Metaphysical Poetry: The Clark Lectures at Trinity College, Cambridge and the Turnbull Lectures at the Johns Hopkins University.

References:

Eliot, T. S. (1951). The metaphysical poets. In *Selected essays* (3rd ed., p. 286). London: Faber and Faber.

Eliot, T. S. (1953). *Selected prose*. Harmondsworth, Middlesex.

Eliot, T. S. (1994). *The varieties of metaphysical poetry: The Clark lectures at Trinity College, Cambridge, and the Turnbull lectures at the Johns Hopkins University*.

K'obakhidze, T. (2015). *Tomas Eliot'i da maghali modernizmis lit'erat'uruli estet'ik'a* [Thomas Eliot and the literary aesthetics of high modernism]. Tbilisi: Universali.

Hiumi, T'. (2020). *Gansjani* ["Gansjani"]. Tbilisi: Int'elekt'i.

Online resources:

Donne, J. (n.d.). *Of the progress of the soul: The second anniversary*. *Poetry Foundation*. Retrieved from https://www.poetryfoundation.org/poems/44123/of-the-progress-of-the-soul-the-second-anniversary

Eliot, T. S. (n.d.). *Gerontion*. *Poetry Foundation*. Retrieved from https://www.poetryfoundation.org/poems/47254/gerontion

Eliot, T. S. (n.d.). *Rhapsody on a windy night*. *Poetry Foundation*. Retrieved from https://www.poetryfoundation.org/poems/44215/rhapsody-on-a-windy-night

Eliot, T. S. (n.d.). *The love song of J. Alfred Prufrock*. *Poetry Foundation*. Retrieved from https://www.poetryfoundation.org/poetrymagazine/poems/44212/the-love-song-of-j-alfred-prufrock

Perry, S. (2016, May 25). *A close reading of "The Love Song of J. Alfred Prufrock"*. *The British Library*. Retrieved from https://www.bl.uk/20th-century-literature/articles/a-close-reading-of-the-love-song-of-j-alfred-prufrock

Pound, E. (2009, October 13). *"A retrospect" and "A few don'ts"*. *Poetry Foundation*. Retrieved from https://www.poetryfoundation.org/articles/69409/a-retrospect-and-a-few-donts